

№ 75 მაისი - ივნისი 2024 წელი

რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი



სადალი მთვარე

ჰაჯოგა და ყურბანი

სავალდებულო ღვთისმსახურება



წინასიყვართ

ძვირფასო მკითხველნო!

მოგესალმებით მონყალე და მწყალო-ბელი უზენაესი ალლაჰის სახელით!

უზენაეს ალლაჰს უსაზღვრო ქება-დიდება ყოველივე ბოძებული სიკეთისათვის. ასევე, გვსურს სულითა და გულით ყველას მოგილოცოთ მოახლოებული მსხვერპლშენიერვის დღესასწაული - ყურბან ბაირამი, რომელსაც მთელი ისლამური სამყარო მიმდინარე წლის 16-17-18 და 19 ივნისს აღნიშნავს. გისურვებთ, რწმენის სიმტკიცეს, სულიერ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ყურბანი - მსხვერპლშენიერვა ჩვენ გვახსენებს იმ დიდ ნდობას, მორჩილებასა და მსახურებას, რაც წმინდა იბრაჰიმსა და ისმაილს გააჩნდათ. ალლაჰი ადამიანებს აჩვენებს ყველაფერს, რაც ხელთ აქვთ, მათ წესისამებრ გამოყენებასა და მონყალეზად გაღებას ასწავლის. ყურბანი ადამიანს სიძუნწისა და ქონების სიყვარულისგან იხსნის. საზოგადოებაში ძმობის, ურთიერთდახმარების, განაწილებისა და ღარიბის გახარებას უწყობს ხელს. ადამიანებს სიყვარულითა და გულისხმიერებით აკავშირებს ერთმანეთთან. ალლაჰის ბოძებული სიკეთეების სარგებლობას უზრუნველყოფს. ინდივიდუალური და საზოგადო ღვთისმსახურებების აღსრულებით შევძლებთ, ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებასა და მასთან დაახლოებას.

ყურბნის - მსხვერპლშენიერვა ღვთისმსახურების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოვლინებაა. ამ მიზნით შეწირული საქონლის არც ხორცი და არც სისხლი, ბუნებრივია, დიად გამჩენთან არ მიაღწევს, თუმცა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ გამჩენთან მიაღწევს თითოეული მორწმუნე პიროვნების გულწრფელობა და ღვთის-

მოსაობა, რომელიც უზენაეს ალლაჰზე მორჩილების ცხადი გამოვლინებაა. მსხვერპლშენიერვას, როგორც ღვთისმსახურებრივი, ასევე საზოგადოებრივი ფუნქციაც გააჩნია. მსხვერპლშენიერვის არსი იმაშია, რომ ალლაჰის კმაყოფილებასთან ერთად, გაჭირვებული ადამიანის ხორციით დაკმაყოფილების აუცილებლობა მასში გამოხატული. ამგვარად მსხვერპლშენიერვა, მუსლიმ საზოგადოებაში, ზოგადად ძმობას, ურთიერთდახმარებას, თანადგომას, ჰარმონიის განვითარებას და დამკვიდრებას უწყობს ხელს. მუჰამედ შუამავალი (ს.ა.ვ) ბაირამის ლოცვის შესრულების შემდეგ ყურბნის შესახებ მინბერიდან ასე მიმართავდა: „ადამის მოდგმა, მსხვერპლშენიერვის დღეს, მსხვერპლის შეწირვაზე უკეთესს ვერაფერს იქმს, რომელიც ალლაჰის წინაშე სიკეთედ ჩაინერება. უეჭველად, იგი განკითხვის დღეს მაღლად მოევიწიება. რამეთუ, ვიდრე სისხლი მინაზე დაიღვრებოდეს, ალლაჰის წინაშე შესმენილ იქნება. ამიტომ მსხვერპლი მთელი გულითა და სულით შესწირეთ!“ (თ 1493 თირმიზი, ედაჰი, 1.)

მსხვერპლშენიერვის ისტორია მთელი კაცობრიობის მანძილზე გრძელდებოდა, რომელიც ჩვენამდეცაა მოღწეული. მსხვერპლშენიერვა არის ღვთისმსახურება, რომელიც ალლაჰმა სავალდებულო გახადა მორწმუნეთათვის. შესაბამისად, მსხვერპლშენიერვის ღვთისმსახურება ხდებოდა ყველა ღვთაებრივ რელიგიაში. ყურბანი ადამიანის ალლაჰთან დაახლოებას უზრუნველყოფს. იმის გამო, რომ ყურბნის ღვთისმსახურება ქონებითა და სულით თავგანწირვის მნიშვნელობის მატარებელია, ალლაჰთან დამაახლოებელი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ერთიანობის როლი ისლამში

ძვირფასო მორწმუნეებო! ჩვენი წმინდა წიგნის - ყურანის თითოეული წერილის ცენტრში ადამიანი მოქცეული, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შესწევს უნარი ღვთიური ბრძანებებისა და სწავლებების აღქმა-გაგების შესაბამისად მოიქცეს. ერთიანობა და ერთად ცხოვრების ნიჭი, ამ თვისებების ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ყურანი, განუყოფლობის წინაპირობად, უზენაესი ალლაჰისა და შუამავლის (ს.ა.ს) რწმენას ადგენს. იმისათვის, რომ მუსლიმებმა ერთად ცხოვრება შეეძლოთ, მნიშვნელოვანია ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) საზოგადოებრივი ლიდერობა, მისგან მაგალითის აღება და მისი, აღნიშნული თემის მიმართ, გაცხადებული რჩევების კვალდაკვალ სვლა.

ისლამში „ერთიანობას“ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დაცულობისა და ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდარია. ყურანში სურა „ალი იმრანის“ 103-ე აიათში ვკითხულობთ: „მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმენით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“

მოცემული აიათი ერთიანობის აუცილებლობას უსვამ ხაზს და კრძალავს მორწმუნეებში ისეთ ქმედებებს, რაც თანადგომისა და ერთიანობის დასუსტებას

გამოიწვევს. ერთიანობა ხომ ყველაზე მეტად გულმონყალებაშია ფესვებგადგმული.

მაშინ, როცა ყურანი ერთიანობისკენ მოგვიწოდებს, ორი ძირითადი მიდგომის გათავისებას ბრძანებს: პირველი - ერთიანობისთვის მუხლჩაუხრელ შრომას და მისი შენარჩუნებისთვის ზრუნვას. მეორე - ერთიანობის დასუსტებისკენ მიმართული ყოველგვარი ქმედების აღკვეთას. შესაბამისად ერთიანობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის თითოეული ჩვენგანის ვალია თავი შორს დავიჭიროთ ინტრიგის გამომწვევი სიტყვებისა და ქმედებებისგან, ასევე თვალთმაქცობისა და ფარისევლური ქცევებისაგან, რომელიც ერთიანობას საფრთხის წინაშე აყენებს.

ძვირფასო მორწმუნეებო, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, რომელმაც კიდევ ერთხელ ნათლად ცხადჰყო, რომ დღეს უფრო მეტად გვესაჭიროება ერთიანობა, ერთად დგომა, ერთმანეთის მიმართ სიყვარული და პატივისცემა, რათა დავიცვათ ჩვენი სამშობლო და მისი სუვერენიტეტი. ამ მიზნის მიღწევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, უდავოდ, რწმენას - რელიგიას უკავია. რელიგიის მიზანი, ადამიანების მშვიდ, ბედნიერ გარემოში თანაცხოვრება და იმქვეყნიური მარადიული ბედნიერების მოპოვებაა. უზენაესმა ალლაჰმა ადამიანი დედამიწის მემკვიდრედ დაადგინა, აღმატებულ ჰყო და თავის მსახურად გამოაცხადა. ამდენად ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, რომელიც ალლაჰმა უბოძა და მისი წართმევის უფლებაც მხოლოდ მას ეკუთვნის. ადამიანს მიეცა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, თავისუფლება,

რამეთუ „იძულება არაა სარწმუნოებაში, ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისაგან...“ (ბაყარა 2/256)

ისლამი აერთიანებს ყველას, მიუხედავად მათი განსხვავებული ეროვნებისა, რასისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტორისა. შესაბამისად ისლამმა, ეროვნებასთან, სქესთან, მატერიალურ მდგომარეობასთან, სოციალურ უთანასწორობასთან და სხვ. დაკავშირებული ყველა პრობლემა აღმოფხვრა.

შუამავალი (ს.ა.ს.) სასტიკად კრძალავდა სხვადასხვა გვარებსა თუ ტომებს შორის დაპირისპირებას და ყველას ერთიანობისკენ მოუწოდებდა. ერთიანობის დარღვევა და განცალკევება ყოველად მიუღებელია. თუ საზოგადოებას ასეთი დამანგრეველი სენი შეეყარა, სავალალო შედეგი გარდაუვალია. ამგვარი საზოგადოება თუ ერთ უბედურებას დააღწევს თავს, მაშინვე მეორეს გადაეყრება და არსებობის შენარჩუნება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ბუნებრივია, გარეშე მტრებსაც სწორედ ეს უნდათ, დაშლილი, დაუძღურებული ქვეყანა და საზოგადოება. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმანეთის გაუტანლობითა და შიდააშლილობით მტერს ნოყიერ ნიადაგს ვუმზადებთ. მისი მიზანია დაგვაუძღუროს და კონტროლის ქვეშ მოგვაქციოს.

გულწრფელი ღვთისმოშიშობა, მტკიცე რწმენა, ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა და საზოგადოებრივი ერთიანობა წარმატების, ბედნიერი, ჰარმონიული ცხოვრების საწინდარია. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ საზოგადოებაში განცალკევებას, დაშლას და ქაოსს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გულები, ჭეშმარიტი რწმენით, დიადი გამჩენის გარშემო უნდა გაერთიანდეს. შესაბამისად, ის „საზოგადოებრივი მოდელი“, რომელიც ისლამმა დანერგა, ცხადყოფს, რომ ადამიანების ერთად ცხოვრების, თანადგომის, სიყვარულისა და პატივისცემის სამაგალითოობა უმთავრესია. ერთიანობა - ეს არის ფართო საზოგადოების გამომხატველი მცნება, რომელიც არ ანიჭებს უპირატესობას ადამიანის ეროვნებას, სალაპარაკო ენას,

კანის ფერსა და გეოგრაფიული საზღვრების მსგავს ელემენტებს.

შუამავალი (ს.ა.ს.) მორწმუნეებს ასე ახასიათებს: „მორწმუნეები ერთმანეთის სიყვარულში, სიბრალულსა და ერთმანეთის დაცვაში ერთ მთლიან სხეულს ჰგვანან. როცა სხეულის ერთი ორგანო ავად შეიქმნება, მაშინ სხეულის დანარჩენ ყველა ორგანოს უძილობა და მოუსვენრობა შეიპყრობს“. (ბუხარი, ედები 27: მუსლიმი ბირრი 66)

ის მთავარი მახასიათებელი ნიშანი, რაც მორწმუნე ადამიანებს ვალდებულებად აკისრია და სხვებისგან განასხვავებს, არის რწმენა, სანიმუშობა, სამართლიანობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება და სანდობა. დღეს, როგოც არასდროს, ჰაერივით გვჭირდება ერთიანობა, ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის დაფასება, მიმტევებლობა და შემწყნარებლობა. ყველამ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავლის, ერთიანი, ძლიერი სუვერენული სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერებისათვის. შევთხოვთ დიად გამჩენს, მშვიდობამ დაისადგუროს ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში, უზენაესი ალლაჰი იყოს თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ახლგაზრდა თაობის, ჩვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოს შემწე და მფარველი.

მაშ ასე, ისლამის საზოგადოებრივი ცხოვრების ამომავალი წერტილი - ერთიანობის გათავისება, განმტკიცება და შენარჩუნებაა. გამომდინარე აქედან, ცხოვრებისეული მოდელი, რომელსაც თითოეული ადამიანი გულწრფელად უნდა ითავისებდეს და მათი ცხოვრების თითოეულ ასპექტში უნდა აისახებოდეს, უდავოდ, ერთიანობაა. ამას სხვა ალტერნატივა არ მოეძებნება და სხვაგვარად არც ძალგვიძს ვიცხოვროთ მშვიდ, ჰარმონიულ გარემოში, ისეთში როგორსაც ყურანი და სუნნეთი გვასწავლის. სამყაროთათვის წყალობად მოვლენილი შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ვერცერთი თქვენგანი ვერ გახდება ნამდვილი მორწმუნე, ვიდრე მორწმუნე ძმისთვის არ ისურვებს იმას, რასაც საკუთარი თავისთვის.“ (ბუხარი, იმანი 7)

ჰაჯობა

ჰაჯობა - დადასტურებას, შემოვლას (ზიარეთი), ქააბისკენ მიმართულების აღებას ნიშნავს. რელიგიურად ჰაჯობა - საშუალების მექონე მუსლიმის, განსაზღვრულ დროს მექაში - ქააბესთან, არაფატზე, მუზდელიფეში და მინას ტერიტორიებზე, აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. ერთ-ერთი ჰადისით: „*არსებობს ჯიჰადი, რომელიც ომის გარეშე სრულდება, ეს ჰაჯობის ღვთისმსახურებაა*“.

ჰაჯობა - არის, არა სტუმრობა მექაში, არამედ უზარმაზარ საკლასო ოთახში მისვლა მორწმუნეთათვის, სადაც მან ყურადღება უნდა მიაქციოს და ის გზა უნდა შენიშნოს (მოძებნოს), რა გზაც ძვირფასმა ადამიანებმა ადამმა, ჰავამ, იბრაჰიმმა (ა.ს.), ჰაჯერმა, ისმაილმა, ისჰაკმა და მუჰამედმა (ს.ა.ს.) განვლეს. სულიერად მათი ცხოვრება უნდა დაინახოს, მათი სუნი უნდა შეიგრძნოს. არაფატზე - ადამივით უნდა დადგეს, მუზდელიფეში - უნდა დამშვიდდეს, მინაზე - სხეულის შიგნით თუ გარეთ მყოფ ეშმაკებთან საომრად უნდა მოემზადოს, ყურბნის დაკვლისას - იბრაჰიმისა და ისმაილის მსგავსად მოიქცეს. აი, ასეთი მგზავრობაა ჰაჯობის შესრულება, ამიტომაც განზრახვა ძალზედ მნიშვნელოვანია. ნასვლამდე კარგად უნდა დაფიქრდეს ადამიანი, თუ რისთვის აკეთებს ჰაჯობას, ასევე ცოდნა უნდა მიიღოს ჰაჯობის შესასრულებლად, მცირეოდენი მაინც, რადგანაც შესრულებული ეს ღვთისმსახურება სრულყოფილი, ხარისხიანი გამოვიდეს.

ჰაჯობა ისეთი ღვთისმსახურებაა რომელიც ასწავლის ძმობის, ერთობისა და ერთიანობის, შუამავალთა და მიმდევართ შორის ყოფნას.

ჰაჯობა - ეს, ისეთი სკოლაა, სადაც ადამიანები თავიანთი სურვილით აღრიცხვაზე

ადიან და უდიდესი ალლაჰის, შუამავლის, მშობლებისა და ალლაჰის გაჩენილთა წინაშე ზრდილობას სწავლობენ.

ჰაჯობა - მოთმინების თავმდაბლობის და მეგობრების სწორად შერჩევის შესწავლაა.

ჰაჯობის შესრულებისათვის მომზადებაა საჭირო, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. რა დროსაც სამ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. ცოდნა - ჰაჯობაზე შესასრულებელი რიტუალების დეტალურად შესწავლაა საჭირო;
2. სურვილი და განზრახვა - საკუთარ თავთან დიალოგით ბოლომდე დარწმუნება;
3. სიყვარული - ეს არ განიმარტება, ეს უნდა ნახოს ადამიანი და სიყვარულით უნდა გააგრძელოს ცხოვრება.

ცოდნის მიღებისას შემდეგ შეკითხვებს აუცილებლად უნდა გავცეთ პასუხი:

- ა) რა არის ჰაჯობა?
- ბ) ტავაფი რატომ კეთდება?
- გ) რატომ არის საფასა და მერვეს შორის შემოვლა (ათვლა) საჭირო?
- დ) არაფატზე ასვლა რაზე მიგვანიშნებს?
- ე) რატომვესვრითქვებს შეითანს(ეშმაკს)? და სხვ.

ჩვენი ეს ღვთისმსახურება მიღებული რომ გახდეს, ამ შეკითხვების პასუხები უნდა ვიცოდეთ. ამასთანავე, უნდა შევეცადოთ და შემდეგნაირად მოვემზადოთ:

საკუთარი თავის წინაშე ანგარიშსწორება - დღემდე რა გავაკეთეთ? ახლა რას ვაკეთებთ? მომავლისათვის რა გვაქვს დაგეგმილი?

მონანიება - გადავხედავთ ჩვენს მეხსიერებას და შევევედრებით უდიდეს გამჩენს, ჩვენს მიერ გაკეთებული ან ვერ გაკეთებული საქმეების გამო;

ცოდნის გაღრმავება - ეს იმისათვის, რომ ჩვენი მიზანი უფრო სრულყოფილი გახდეს;

სიკეთეების კეთების მეტი სურვილი - ეს გრძნობა უნდა აღვძრათ საკუთარ თავში და უფრო მეტი გაჭირვებული ადამიანი უნდა მოვინახულოთ;

უნდა გავითავისოთ ერთი რამ, ჰაჯობიდან უნდა დავბრუნდეთ არა ისეთები, როგორც წასვლამდე ვიყავით, არამედ უფრო უკეთესები. კიდევ ერთხელ ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ რატომ მივდივართ? იქ ჩვენ, შუამავლის, ებუ ბექირის, ომერის, ოსმანის, ალის, ჰატიჯეს, აიშეს და სხვა ძვირფასი ადამიანების გასახსენებლად და მათი ცხოვრებისაგან მაგალითის ასაღებად მივდივართ. იქ ისეთი ადგილებია, სადაც ყველა ნაბიჯზე ყურანის აიათები გარდმოვევლინა ძვირფას შუამავალს, ამიტომაც ასეთი ადგილიდან ცარიელი თუ დაბრუნდა ადამიანი, არ ეპატიება მას. იქ, ადამიანს არ უნდა აინტერესებდეს სხვათა ქმედებები, ბაზრობები, უნდა ახსოვდეს, რომ იქ სხვის გამოსასწორებლად კი არა, საკუთარი თავის გამოსწორებისათვის მიდის. თუ დაბრუნების შემდეგ ჩვენი საუბრები შეეხება იქაურ სამლოცველოებს, იქაურ საჭმელებს... მაშინ ჩვენ იქ ღვთისმსახურებისთვის არ წავსულვართ, ამიტომ წასვლისას და იქ ყოფნის დროსაც, ჩვენი განზრახვა ნრფელი უნდა იყოს, რათა დაბრუნებისას ადამიანებზე სასაუბრო ისეთი რალაცეები გვქონდეს, რომელიც საბაბი გახდება შემდგომში ამ ადამიანების სწორ და ჭეშმარიტ გზაზე მყარად დგომისა. როგორც ტურისტები, ისე არ უნდა ჩაგვეთვალოს მგზავრობა.

ჩვენ იქ წოდების მისაღებად არ მივდივართ, დავაკვირდეთ იქედან დაბრუნებულთა ზოგიერთის ქმედებას, მათი ცხოვრება როგორ გრძელდება და მაგალითი ისე ავიღოთ მათგან. წასვლამდე ბევრი სავედრებელი სიტყვა შევისწავლოთ, ენა მივაჩვიოთ ვედრებას. იქ ჩასვლის შემდეგ ჩვენი ყველა ქმედება უნდა საუბრობდეს, როგორც უდიდეს ალლაჰთან შეხვედრას მოწყურებული ღვთისმოშიში, ღვთისნიერი, სათნო, მომთმენი და ყველაზე ლამაზი თვისებების მატარებელი ადამიანის ქმედება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჰაჯობა - დადასტურებას, შემოვლას (ზიარეთი), ქააბისკენ მიმართულების აღებას ნიშნავს. რელიგიურად ჰაჯობა - საშუალების მქონე მუსლიმის, განსაზღვრულ დროს მექაში - ქააბესთან, არაფატიზე, მუზდელიფეში და მინას ტერიტორიებზე, აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. რას გვასწავლის ეს რიტუალები?

მიპატიჟება

პირველ რიგში ის უნდა გავიგოთ, რომ მილიონობით ადამიანს შორის უდიდესმა ალლაჰმა ჩვენ აგვარჩია და მასთან მიგვიპატიჟა. იქ მიუპატიჟებლად ვერავინ მიდის. **„აუნყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით, ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!“** ჰაჯი-22/27

პირველი მიპატიჟება ალლაჰის ბრძანებით, იბრაჰიმს (ა.ს.) გაუკეთებია, ბოლოს კი მუჰამმედ (ს.ა.ს.)-ის მხრიდან სამუდამოდ დამკვიდრებულა. მუსლიმები, რომლებიც საშუალებას ნახავენ და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, სწორედ ისეთები არიან მიპატიჟებულნი მექაში ჰაჯობის შესასრულებლად.

მიქატი - საზღვრები

ეს უბრალო ადგილი არაა, ეს ალლაჰის მხრიდან შემოსაზღვრული ადგილია, ამით ალლაჰის ჩვენზე მოცემული უსაზღვრო თავისუფლების ფასი უნდა გავიგოთ, რწმენის სიამეები უნდა შევიგრძნოთ;

მიქატი - ეს, ის საბოლოო პუნქტია, სადაც ალლაჰთან შეხვედრას ვგეგმავთ;

მიქატი - ამ ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, უკვე განზრახვა გაკეთებულია და მილიონობით ადამიანს შორის მართონში ჩართვაა, ეს კი ყველას არ ერგება წილად, ამის მიხედვრათა საჭირო.

თელბიე

თელბიე ჰგავს სალაშქროდ გამზადებულ, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს, რომელიც უფროსისაგან ბრძანებას ელოდება.

ჰაჯი, რომელიც იჰრამს ჩაიცვამს: **„ჩემო ალლაჰო, მიბრძანე მზად ვარ შესასრულებლად“** - „მე მოვედი, გავიგე შენი ბრძანება, მივიღე მოპატიჟება, აქ ვარ შენს წინაშე ღმერთო“, ამ სიტყვებს წარმოთქვამს და გრძნობს ალლაჰის სიახლოვეს. ის, ასევე უნდა გრძნობდეს, რომ მას არავინ არ ჰყავს ალლაჰის გარდა. იჰრამის ჩაცმა, სუდარის ჩაცმის სიმბო-

ლოა. სუდარის ჩაცმის შემდეგ ადამიანის პატრონი, მხოლოდ ალლაჰია ეს უნდა გავიგოთ და იქედან დაბრუნების შემდეგ, ისე უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, რა შემართებითაც იქ თელბიეს კითხვისას ვიყავით განწყობილი. მსოფლიოს ყველა კუთხიდან წასული ადამიანები, თელბიეს, როგორც პაროლი, ისე იმეორებენ და მზად არიან ბრძანებების შესასრულებლად. ისინი, ასევე მზად უნდა იყვნენ დაბრუნების შემდეგ ხმამალა წარმოთქვან სიტყვები: „ბრძანე ღმერთო, მზად ვართ“.

იჰრამი

იჰრამი - ეს, ის სიმბოლოა, როცა ადამიანი თავის თანამდებობას, შესაძლებლობას, ქონებას და სხვა ნებისმიერ რამეს, რასაც ამქვეყნად ეყრდნობა, მოიცილებს და სუდარას ჩაიცვამს გამჩენთან შესახვედრად. ჰაჯობის ღვთისმსახურების შესასრულებლად წამსვლელები, მიუხედავად მათი ყველანაირი მდგომარეობის, კულტურის, კანის ფერის, ხასიათის, ფიზიკური მონაცემებისა, ამ ყველაფერს მოიცილებენ და ყველა სიმბოლურად ერთნაირად შეიმოსება და ალლაჰის წინაშე ყველა ერთნაირი იქნება. იქ ყველა ერთმანეთის ტოლია. იქ ადამიანები, მხოლოდ თავიანთი ადამიანობით შეფასდებიან, მათ ვერაფერი დაეხმარება, გარდა მათი სინმინდისა, გარდა მათი ღვთისმოშიშობისა და ღვთისნიერებისა.

იჰრამი - ეს იგივე სუდარაა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ერთი მოსიარულეა, რომელსაც ჰაჯობისას იცვამენ ადამიანები, ხოლო მეორე მიცვალებულის სუდარაა, მიცვალებულს ამას აცვამენ სხვები.

იჰრამი - განკითხვის დღის ინსცენირების საკუთარ თავზე ჩვენებაა, ადამიანი სულის სიღრმეში უნდა გრძნობდეს, რომ არავითარი აზრი არა აქვს ვინმეს წყენინებას ამქვეყნიური საქმეების გამო.

იჰრამი - სანამ მექაში წავალთ, ჩვენს ირგვლივ მყოფებთან რანაირი ცუდი ურთიერთობაც არ უნდა გვქონდეს, უნდა შევცვალოთ, ჩვენც უნდა შევიცვალოთ და მოვიცილოთ ყოველგვარი ბოროტებასთან მიახლოებული ცუდი ზრახვებიც და როგორც იჰრამით, ასეთნაირად უნდა შევიმოსოთ სიკეთების საკეთებლად. იჰრამის ჩაცმით იწყება აკრძალვები, ეს კი აძლიერებს ადამიანს.

ქააბა

ქააბა - ადამიანთათვის ფეხზე დგომის ადგილია, ფეხზე წამოდგომაა, გაცოცხლებაა.

ქააბა - „უეჭველად, სამყაროსა და მის ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლია (სამლოცველო) სწორედ, რომელიც ბექაში (მექაში), აღმართულია ხალხთათვის.“ ალი-იმრანი 3/96. წმინდა ყურანის ამ აიათით ცნობილია, რომ ქააბე პირველი ღვთისმსახურების ადგილია... ალლაჰის ყველაზე ძვირფასი ამანათია, 5 დროის სალოცავად აღებული მიმართულების ცენტრია, ... მინიშნებაა მიმართულების სწორად აღებისა.

ქააბა - ყურანში 2-ჯერაა მოხსენიებული: „...თქვენგან ორმა მართალმა კაცმა განსაჯოს ეს საქმე და შერჩეული საქონელი გაიგზავნოს ქააბასთან...“ სურა მაიდე 5/95

„ალლაჰმა ქააბა, სახლი ნაკრძალი (წმინდა), თვე ნაკრძალი, და შესანიერი ცხოველი და აქლემები სამკაულებშებმული ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა...“ სურა მაიდე 5/9

ქააბა და ტავაფი

ძვირფასი ადამისა და ევას სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ, მოსაზრებათა მიხედვით, ადამი სერენდიბიდან, ხოლო ევა ჯიდდე (ნინე)-დან, ერთმანეთის შესახვედრად გამოემართნენ და არაფატიზე შეხვდნენ ერთმანეთს.

სურა ბაყარას 127-ე აიათით „და როცა იბრაჰიმი ამაღლებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ევედრებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!“ - ცნობილია, რომ ძვირფას იბრაჰიმს უნახავს ანგელოზები, რომლებიც ალლაჰს ასე ევედრებოდნენ:

„სუბჰანალლაჰი ველჰამდულილლაჰი, ველაა ილააჰჰე ილალალლაჰუ ველლაჰჰეუქებერ“- ანგელოზთა სიტყვები;

„ველაა ჰავლე, ველაა ყუვეეთე, ილლაა ბილლააჰჰ“- ადამის სიტყვები;

„ელ ლალიილ ლაზიიმ“- იბრაჰიმის სიტყვები.

როცა ჰაჯები ქააბეს ესალმებიან, „ბისმილლაჰი ელლაჰჰეუქებერ“-ის თქმის შემდეგ, ამ სიტყვებით ადიდებენ ალლაჰს.

ქააბას 7-ჯერ შემოვლისას, სულ ამ სიტყვებს კითხულობენ ადამიანები, ეს სიტყვები უდიდესი ალლაჰის ძლიერებას გამოხატავს.

ქააბე - მორწმუნეთა სიმბოლოა, მუსლიმთა გამაერთიანებელი სამშობლოა.

ციბლე - სიმტკიცეა აღებული მიმართულებისაკენ, განათლებაა, კულტურაა. მუსლი-

მების ყიბლისაკენ მყარად დგომა, ისლამის გზაზე მყარად დგომის სიმბოლოა, რომელიც ისლამის ძლიერებას და სრულყოფილებას აღნიშნავს. ქააბესთან შემოვლა უდიდესი ალლაჰის პატივისცემაა, მის სახლში, მასთან შეხვედრის სიმბოლოა.

ქააბე - სიყვარულის ცენტრია, მილიონობით ადამიანი მიდის იქ, სადაც ალლაჰის სიყვარულის უდიდეს მუხტს იღებს, ვალდებულია ყველა იქიდან დაბრუნების შემდეგაც, ეს მუხტი შეინარჩუნოს სიცოცხლის ბოლომდე.

ჰიჯრი-ისმაილი

ჰიჯრი-ისმაილი - ეს, ის ადგილია სადაც ძვირფასი ისმაილი სიცხემ ძალიან შეანუხა და ალლაჰს თხოვნით მიმართა, თხოვნა აუსრულდა. დღესაც, კი იმ ადგილას ყველა გამვლელი სიგრილეს გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ იქ არანაირი გამაგრილებელი საშუალება არ დგას. ამიტომ, ეს თავაზიანობის ადგილად ითვლება.

მულთეზემი


მულთეზემი - ამ ადგილას, ძვირფასი მოციქული ქააბეზე შეხებით, მასზე მიკვრით ვედრებას ასრულებდა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ვედრება, მხოლოდ ალლაჰის წინაშე, მის კართან მისვლით, მასზე სრულად მინდობით უნდა გაკეთდეს. როგორც დედა შვილს ჩაიკრავს გულში - ქააბეს კარს, ზღურბლს ან საბურველს, ისე უნდა ჩავეკრათ და შევევედროთ ცოდვებისაგან გასათავისუფლებლად.

„ცოდვებისაგან პატიების სათხოვნელად სხვაგან ვერ მივდივარ, შენს კართან მოვედი, ძალიან ბევრი ცოდვა ჩავივინე დაუფიქრებლად, შენ კი - გამჩენო უსაზღვრო წყალობის პატრონი ხარ! ღმერთო დიდებული, ჩემო ალლაჰო, სანამ არ მაპატიებ აქაურობას ვერ მოეშორდები“, ტირილით ასე უნდა შევევედროთ.

თუ არ გვეტირება, იმაზე უნდა ვიტიროთ, ნეტავი რატომ არ გვეტირება.

მაყამი იბრაჰიმი

მაყამი იბრაჰიმი - ეს, ის ადგილია სადაც ჯერ კიდევ იბრაჰიმი (ა.ს.)-ის ნაკვალევი ატყვია. ეს სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ თუ ქააბეს ააშენებ, ადამიანებს მუდამ ემახსოვრები, შენებისას მყარ ადგილას უნდა დადო ფეხი, როგორც იბრაჰიმი. ჰაჯობაზე წასული მუსლიმიც, ხელახლა საკუთარი გულის მშენებლობას იწყებს, ამიტომ მასაც უნდა ახსოვ-



დეს, თუ რა გზებით უნდა იაროს და როგორი მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს მშენებლობის დანყებას, რომ შენობა იყოს მყარი და ძლიერი.

ტავაფი

ტავაფი - ქააბეს შენობაზე შემოვლაა. ეს შემოვლა, ამ უზარმაზარ სამყაროში კანონზომიერებაზე ფეხის აწყობას ნიშნავს, თუ გინდა, რომ არ იყო მივიწყებული, მუდამ მოქმედებაში უნდა იყო, როგორც ტავაფის შესრულებისას.

შემოვლის დროს ქააბას მარცხნიდან ვუახლოვდებით, ასე ადამიანის გული, ალლაჰის სახლს შეხვდება. გულით შესრულებული ღვთისმსახურება უდიდესი ალლაჰის წინაშე მიღებულია, გამჩენი - ადამიანთა გულს უყურებს და არა სხეულს. შემოვლა და მის ირგვლივ ტრიალი კი, მასზე დამოკიდებულებას ნიშნავს, ამიტომაც ეს მიახლოებები გულით უნდა ხდებოდეს.

ტავაფი - ეს, ისეთი ღვთისმსახურებაა, როცა ადამიანები ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ, მათ შორის განსხვავებები არ არსებობს, ყველა ერთნაირია. 7-ჯერ გაუჩრებლად შემოვლა კი მიგვანიშნებს კვირის 7 დღეზე, სადაც უფლება არ გვაქვს უმოქმედოთ დავრჩეთ. როგორც სამყაროში ყველაფერი გაუჩრებლად ბრუნავს, ჩვენც გაუჩრებლად ვაკეთებთ შემოვლას. სამყაროში არსებული ეს კანონზომიერება არ იცვლება არასოდეს, ჩვენი მოქმედებაც ამას უნდა დავამსგავსოთ და არ უნდა გავჩრედეთ, მუდამ გვახსოვდეს ჩვენი გამჩენი, გაუჩრებლად ვადიდოთ იგი და ასევე შევევედროთ მას, ჩვენი გადარჩენისათვის.

რემელი და იზდიბა

იზდიბა - საჭიროების შემთხვევაში რწმენისთვის ყველაფრის თავისუფლად გაღება, უარყოფელთა წინააღმდეგ სიმკაცრე რომ აუცილებელია, ამის მიხედვრათა მუსლიმთა მხრიდან.

რემელი - გვასწავლის სად და როგორ უნდა იდგეს მუსლიმი, როგორ უნდა იმოძრაოს. მყარად უნდა იდგეს და სხვას პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. „მუჰამმედი, შუამავალი ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც არიან მკაცრნი ურწმუნონის წინაშე და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში, მათ დაინახავ რუქულის და სეჯდეს აღმსრულებლებად, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიეღვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა.“ სურა ფეთიჰ - 48/29

ურწმუნოები სულ იყურებოდნენ და ემზადებოდნენ დასაცინად, როცა მუსლიმები შემოვლებს აკეთებდნენ, ისინი ელოდებოდნენ, თუ როდის დაეცემოდა მათგან რომელიმე. მიუხედავად ამისა, მოციქული პირველ სამ შემოვლას, სწრაფი ნაბიჯებით აკეთებდა, რითაც ურწმუნოებს ახვედრებდა, რომ ის ალლაჰის გზაზე არასოდეს დაიღლებოდა. ჩვენც მაგალითი მისგან უნდა ავიღოთ. აი, ამის სიმბოლოა რემელი და იზდიბა.

ჰაჯერულ ესვედი

ჰაჯერულ ესვედი - დედამიწაზე უდიდესი ალლაჰის მხრიდან დადებულ კამერის მსგავსად აღიქმება, მას ჰაჯეები უახლოვდებიან, მისკენ ხელისგულებს შლიან, ესალმებიან და ეუბნებიან - „მე მოვედი“, თითქოს ამით ისინი ცდილობენ კადრში მოხვედრას. მისკენ მიმართული ხელისგულები ჩიპებს ჰგავს, ჰაჯერულ ესვედი კი თითქოს მათი მკითხველია, მასთან მისვლა - სულების გაჩენისას, გამჩენზე მიცემული აღთქმის განახლებას ნიშნავს.

ჰაჯერულ ესვედი - ჰაჯებს ახსენებს ძვირფას ადამიანებს ადამს, იბრაჰიმს, მუჰამმედს და მათ სუნნეტებს. ძვირფასი ომერი ამ ქვაზე ამბობდა: „მე, რომ მოციქული მუჰამმედი არ მენახა, შენ რომ გკოცნიდა, ჩემთვის ჩვეულებრივი შავი ქვა იქნებოდი“-ო.

საფასა და მერვეს შორის ათვლა

ათვლა - საფასა და მერვეს შორის გაუჩერებლად მოძრაობაა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ უმოძრაობითა და ლოდინით არა-

ფერი გამოვა, უნდა იმოძრაოს ადამიანმა და შედეგს ამის შემდეგ უნდა ელოდოს.

ჰარველე - ძვირფასი ჰაჯერის როლის მორგებაა (ის სწრაფად დადიოდა 2 მთას შორის) და ამასთან ერთად გააზრებაა საჭირო, თუ რატომ მიანიჭა უდიდესმა ალლაჰმა, ამ უბრალო, შავ მოახლეს ამდენად მაღალი წოდება.

ათვლა - გაუჩერებლად მოძრაობაა სწორი ღვთისმსახურებისათვის, ასევე დედობრივი სიყვარული და შვილისთვის განეული ჯაფაა. ძვირფასი ისმაილისწინაირი შვილების გაზრდა, ჩვენი და სხვათა შვილების გადარჩენა, ალლაჰის წყალობის მისაღწევად დაუღალავი შრომის ნიმუშია. უნდა მივხვდეთ, რომ შრომის გარეშე რალაცუების მიღების იმედი არ უნდა გვქონდეს.

ზემზემი

ზემზემი - გაცნობიერებაა იმ შრომის შედეგის, რომელიც ძვირფას ჰაჯერს წყალობად მისცა უდიდესმა ალლაჰმა უდაბნოში, ორ მთას შორის უკაცრიელ ადგილას მოჩუხჩუხე წყაროს სახით, სადაც ჩიტებიც კი არ დაფრინავდნენ. ღვთისმოშიში და ღვთისნიერი ადამიანების შრომაც ასე დაფასდება. ძვირფასი ისმაილი ფეხზე დადგა ზემზემის წყლის დაღვევით და ქააბეს აშენებით. უაღრესად დიდი საქმე გააკეთეს მამა-შვილმა, ჰაჯში წასულმა მორწმუნეებმაც, მათი კუჭი ზემზემის წყლით უნდა განმინდონ და ამით ძალიან დიდ საქმეს გაუკეთებენ საკუთარ თავს, სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე ჰარამი ლუკმისაგან უნდა დაიცვან თავი.

არაფატი

არაფატი - ეს საკუთარი თავის შეცნობის ადგილია, ალლაჰის წინაშე გაჩერების სიმბოლოა, სამყაროს შეცნობის ადგილია, სადაც შენს თავს კიდევ ერთხელ გადაამოწმებ, თუ რამდენად მზად ხარ ალლაჰის წინაშე გასაჩერებლად. „საკუთარი თავის შემცნობი - ღმერთს შეიცნობს“, ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის.

არაფატი - ცოდვათა აღიარებაა, ტირილითა და ცრემლებით ცოდვებისაგან განწმენდაა, ალლაჰზე მიცემული სიტყვების გახსენება და მომავალი ცხოვრების სწორად დაგეგმვაა.

არაფატი - უდიდესი ალლაჰის კარგად გაცნობაა, სამყაროს გაცნობა და მოვლენა-

თა სწორად წაკითხვა, ასევე შეკრების დღის ინსცენირება.

ვაქფე

ვაქფე - არაფატზე ფეხზე დგომის სიმბოლო და ერთ-ერთი აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. რომელიც ყოველგვარი ბოროტების, რასიზმისა და პოლარიზების წინააღმდეგ მყარად დადგომას გვასწავლის. ძვირფასი შუამავლის სიტყვების დადასტურებაა: „ყველანი ადამის შვილები ხართ, ადამი კი - მიწისგანაა“.

მუზდელიფე

მუზდელიფე - რწმენის გასაძლიერებლად, სწორი ფიქრით ანთებული ლამპარია, სწორი ფიქრი, ადამიანს ცოდნისაკენ მიიზიდავს, ცოდნის მიღება კი, ადამიანს გადაარჩენს ყოველგვარი გაჩენილი საფრთხეებისაგან. იქ ყოფნა, საკუთარი სულის ალლაჰის სიყვარულის გრძნობით გავსებას უნდა ემსახურებოდეს.

ჰაჯი - ქააბეში გულს ყოველგვარი საექვოსაგან განმინდავს, მუზდელიფეში სულიერად გაძლიერდება, მინაზე კი, მასში არსებულ ეშმაკს ჩაქოლავს და გაბრწყინდება.

მინა

მინა - ეს, ის ადგილია, სადაც მორწმუნე ეშმაკის ჩაქოლვით, მასთან ბრძოლის შემდეგ თავს გამარჯვებულად თვლის და ყველანაირად მოტივირებულია. ამ ადგილას, როგორც ძვირფასმა ადამიანებმა იბრაჰიმმა, ისმაილმა და ჰაჯერმა ეშმაკი მოიშორეს, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენში არსებული ეშმაკები უნდა ჩავექოლოთ. მინიმუმ 49 ქვა უნდა ვესროლოთ სიმბოლურად, სინამდვილეში ყველა თითოეული გასროლილი ქვა, ჩვენი სულიერებიდან ამოღებული თითო ბოროტება უნდა იყოს, რომელსაც სამუდამოდ მოვიშორებთ და იქ მინაზე უნდა დავტოვოთ.

ყურბანი

ყურბანი - გვასწავლის გაცემას, გაცემა სწორედაც იქედან უნდა შევძლოთ, რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. უდიდესმა ალლაჰმა ჩვენ უთვალავი განძი მოგვცა,

ჩვენც მადლიერების გამოსახატავად გავცეთ და შევძლოთ მასთან დაახლოება.

ყურბანი - როცა იპრამში ყოფნისას ბალახის დაგლეჯაც კი იკრძალება, ჰაჯებს ყურბნის დაკვლის ვალდებულება გააჩნიათ, რაც მათი მხრიდან ხელგაშლილობის სიმბოლოა. ყურბანი - ალლაჰზე მინდობას, თავაზიანობას, ერთმანეთის ატანას და ძმობას აღნიშნავს. ამ ღვთისმსახურებას ჰაჯები დიდი სიხარულით ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ არც მათ უნევთ აქედან ხორცის ჭამა, ის სრულიად უცნობ ღარიბ, საჭიროების მქონე ადამიანებთან მიდის.

თმის შეჭრა ან გაპარსვა

თმის შეჭრა ან გაპარსვა - როგორც ძვირფასი ისმაილი უსიტყვოდ დასთანხმდა მამას ყურბნად შეწირულიყო, ჰაჯებიც თმის შეჭრით ან გაპარსვით სიმბოლურად ემსგავსებიან მას. სამწუხაროდ ყველას ეს არ შეუძლია, თმა მათთვის უფრო ძვირფასია.

მესჯიდი ნებევი

ჰადისი: - „*ისწრაფეთ მხოლოდ სამი სამლოცველოსაკენ და არა სხვაგან: მესჯიდი ჰარამი, მესჯიდი აყსა და მესჯიდი ნებევისაკენ, რადგანაც იქ შესრულებული ლოცვები ბევრად (500-ჯერ, 1000-ჯერ) უფრო ძვირფასია სხვაგან შესრულებულ ლოცვებზე.*“

მესჯიდი ნებევი - ეს, ის ადგილია, საიდანაც ბევრი საჩუქრები უნდა წამოიღოს მორწმუნემ, როგორც მესჯიდი ჰარამიდან. რა არის ეს საჩუქრები?

ეს არის ძვირფასი ადამიანების ებუ ბექირის ხელგაშლილობა, ომერის სამართლიანობა, ოსმანის ზნეობა, ალის ვაჟაკობა და ცოდნა, ჰამზას გამბედაობა, მუსაბ ბინ უმეირის ყველანაირ წოდებაზე უარის თქმა რწმენის გამო, ჰატიჯეს მეუღლის როლი, აიშესა და ფატიმას შემოსვა და ა.შ.

ძვირფასო მორწმუნეებო! მსურს, როგორც საკუთარ თავს, ასევე ყველას მოგმართოთ! ჰაჯის წოდების მიღებაზე უფრო, სრულყოფილი ჰაჯის სახით, ჰაჯის სახელით დარჩენა უფრო მნიშვნელოვანი და უფრო სასარგებლოა თითოეული ჩვენგანისათვის. ■



ჩინააღმკურთხის სიძბთლო - პოზიტივიზმი

ყველა მატერიალისტურ - ფილოსოფიური შეხედულება, რომელიც უარყოფს მეტაფიზიკურ რელიგიურ ჭეშმარიტებებს, ემყარება “პოზიტივიზმს”. პოზიტივიზმის ფილოსოფია ცოდნის ერთადერთ წყაროდ განსაზღვრავს ემპირიულ კვლევას, რომელიც დაფუძნებულია გრძნობების ხუთი ორგანოს აღქმაზე.

ამ ფილოსოფიის თანახმად, არ არის არანაირი ჭეშმარიტება იმაში, რაც არ არის შეცნობილი გრძნობების ხუთი ორგანოს მიერ ლაბორატორიული ცდის შედეგად. მათი აზრის თანახმად, ჭეშმარიტია მხოლოდ ის, რაც შესაძლებელია დამტკიცდეს ლაბორატორიული მეთოდით და შეიგრძნობა ერთი (ან რამდენიმე) გრძნობის ორგანოთი. ვინაიდან, ისლამი მოუწოდებს “გაიბის” (უხილავის) რწმენას, რომელიც არის გრძნობების ხუთი ორგანოს შეცნობის მიღმა, მაშინ მისი უდიდესი მონინააღმდეგეები არიან პოზიტივისტი ფილოსოფოსები.

პოზიტივიზმი ეფუძნება ორ პრინციპს, რომელიც მასვე ეწინააღმდეგე-

ბა. ერთი მათგანია - “მთლიანობა”, მეორე არის “ვალდებულება”.

მთლიანობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში:

ნებისმიერი ქმნილების თვისება ვლინდება მთელ სამყაროში. მაგალითად, წყალი რომ გავაცხელოთ ლაბორატორიულ პირობებში ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე, მაშინ ის, გარკვეულ ტემპერატურას მიაღწევს და შემდეგ დაიწყებს აორთქლებას. მეცნიერებმა, წყლის დუღილის ტემპერატურად განსაზღვრეს ასი გრადუს ცელსიუსი და დაადგინეს წყლის დუღილის წერტილად. აღნიშნულის საფუძველზე წარმოიშვა მტკიცება, რომ ნებისმიერი წყალი, რომელიც გაცხელებული იქნება მოცემულ ნიშნულამდე, იწყებს აორთქლებას. ფიზიკის სხვა კანონები ზუსტად იგივენაირად არის არგუმენტირებული, პოზიტივისტური აზროვნების საფუძველზე.

თუმცა, ლაბორატორიულ პირობებში შესაძლებელია წყლის ნიმუშების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის შემოწმება. თუნდაც ათასი ეგ-



ზემპლარი იყოს, პოზიტივისტი, იმისდა მიუხედავად, რომ წყლის განუზომელი რაოდენობა ჯერ არ არის გამოკვლეული, დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ “ნებისმიერი წყალი იწყებს აორთქლებას, როცა მიაღწევს ას გრადუს ტემპერატურას”. თუმცა მათთვის ესეც არის წინააღმდეგობა. ვინაიდან, მათ არ შეუძლიათ დაიჯერონ ის, რაც არ არის დადასტურებული ლაბორატორიულად. ამის მიუხედავად, კითხვაზე: “როგორ შეგიძლია ამის მტკიცება წყლის სრული ოდენობის გამოკვლევის გარეშე? ისინი შემდეგ პასუხს გასცემენ:

- ვინაიდან, შეუძლებელია წყლის სრული რაოდენობის შემოწმება, ჩვენ, წყლის გარკვეული რაოდენობის გამოკვლევით და იმის აღნიშვნით, რომ იგი იწყებს აორთქლებას ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, განვაზოგადეთ ამ ლაბორატორიული კვლევების შედეგები, რომლის საფუძველზეც დავადგინეთ აღნიშნული კანონზომიერება.

ამავდროულად, რელიგიური ჭეშმარიტებების მიღება ხდება ზუსტად იგივე გზით. მორწმუნე ადამიანები, შეამჩნევენ, რომ რელიგიური მტკიცებები, რომელთა აღქმა შესაძლებელია ჩვენი გრძნობების ხუთი ორგანოს მიერ, სრულად შეესაბამება ჩვენს ცნობიერებას, რწმენას განაგრძობენ და იღებენ იმ ჭეშმარიტებებს, რომელთა გაგება შეუძლებელია ადამიანის გონებით.

მაგალითად, ადამიანი, რომელიც ფიქრობს იმაზე, თუ როგორ შექმნა ყოვლისშემძლე ალლაჰმა, თავისი უსასრულო ძალის წყალობით, ყველა არსება და მისცა მათ სიცოცხლე, ამ ყოველივეს აკვირდება რეალურ ცხოვრებაში, არ გაუჭირდება წარმოდგინოს შემოქმედის ძალა, რომლის დახმარებითაც იგი აღადგენს ყველა ცოცხალ არსებას მათი სიკვდილის შემდეგ. ანალოგიურად, ადამიანი, რომელიც ამჩნევს, რომ ალლაჰმა არ დატოვა უყურადღებოდ არც ერთი თავისი ქმნილება და თითოეულ მათგანს მიანიჭა საკვები, შეუძლია გააცნობიეროს, რომ შემოქმედს აქვს შესაძლებლობა მოუწოდოს სამსჯავროზე ყველა თავის მსახურს მარადიულ ცხოვრებაში. ამრიგად, კანონზომიერებებიდან გამომდინარე, რომლებიც დადასტურებულია განჭვრეტით, შესაძლებელია იმ კანონების მიღება, რომლებიც არ ექვემდებარება გონებით გააზრებას.

პოზიტივისტები კი, რომლებიც ამ მეთოდოლოგიას სრულიად ბუნებრივად თვლიან, მიიჩნევენ მას არაგონივრულად მორწმუნეებთან მიმართებაში და უარყოფენ მეტაფიზიკის ყველა კანონს. ამრიგად, ისინი ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს.

სინამდვილეში კი, ეს წინააღმდეგობა არის საერთო სუსტი წერტილი ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთდმერთიანობას. ამ წინააღმდეგ-



გობებთან დაკავშირებით, რომლებსაც ფილოსოფოსები მიეცნენ ღვთაებრივ ქვეშარიტებებთან შეჯახებისას, იმამ რაბბანიმ თქვა შემდეგი:

”რა უცნაურია, რომ ადამიანები, რომლებიც მთელ თავის ცხოვრებას ახარჯავენ ლოგიკის შესწავლას, რომელიც ფიქრის დროს ხელს უშლის შეცდომების დაშვებას და სწავლობენ ამ მეცნიერებას უმცირეს დეტალებამდე, როცა აღმოჩნდებიან ისეთი საკითხების წინაშე, როგორცაა ალლაჰის არსის, მისი სახეებისა და ქმედებების შეცნობა, კარგავენ თვითკონტროლს, ივწყებიან ლოგიკას და ყოველგვარ სისულელეს როშავენ. ისინი გვაგონებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დაკავებულნი იყვნენ სამხედრო ტექნიკის მომზადებით და როდესაც ბრძოლის დრო მოვიდა, ისინი დაიბნენ და დაივიწყეს როგორ გამოეყენებინათ ეს იარაღი”.

პოზიტივიზმი ფილოსოფიის კიდევ ერთი განუყოფელი საფუძველია „ვალდებულების“ პრინციპი. პოზიტივისტებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს ნივთიერებების თვისებების ახსნა და მათი განსხვავება ლაბორატორიულად, მიიღეს ისინი როგორც „სავალდებულო“ (კუთვნილი, იძულებითი).

სინამდვილეში, პოზიტივისტების აზრის თანახმად, თითოეული მტკიცება უნდა იყოს დადასტურებული ლაბორატორიული ცდით, მაგრამ მათ ზოგიერთი არსების თვისებები უპირობოდ მიიღეს, თვისებები, რომლებიც მათ მიენიჭათ შექმნისთანავე, მათთვის

თავისთავად, აშკარა წინააღმდეგობაა. (იხ. “ისლამური მსოფლმხედველობა”, გვ. 46, 269.)

მაგალითისთვის, პოზიტივისტები კმაყოფილდებიან მხოლოდ სხვადასხვა ფიზიკური მოვლენის მტკიცებულებებით, ნივთიერების სიმკვრივით და მისი სხვა თვისებებით, თუმცა, ისინი არ სწავლობენ მათ გამომწვევ მიზეზებს. რადგან შექმნის საიდუმლო მათ ინტერესებში არ შედის. ისლამი განმარტავს ყველა ამ მახასიათებელს “ღვთაებრივი წინასწარ განსაზღვრისა და ჰარმონიის” სიბრძნის თვალსაზრისით, რომელიც ჩადებულია ყველა არსების შექმნის მიზანში.

წმინდა ყურანი შეიცავს ბრძანებას ყველა მორწმუნისთვის, რომელიც კითხულობს წიგნს სახელწოდებით: “სამყარო”: **“წაიკითხეთ თქვენი ღმერთის სახელით, რომელმაც შექმნა ყველა ქმნილება”** (სურა, “ალ-ალაქი”, 1). ანუ აქ, ნაბრძანებია, როგორც გონებრივი, ასევე სულიერი გადასვლა ქმნილებიდან შემოქმედზე, ხელოვნების ნიმუშიდან მის ავტორზე, არსებიდან მის შემქმნელზე, ღვთაებრივი სახელების, სახეების და მისი ძალის გამოვლინებების მოსმენით. გარდა ამისა, ჩვენ ვიღებთ შეთავაზებას შევხედოთ სამყაროს არა თავად სამყაროს გულისთვის, არამედ მისი შემოქმედის გულისთვის.

მატერიალიზმის ფილოსოფია კი განიხილავს ქმნილებებს თავად ქმნილებების გულისთვის. ანუ, აქ არსებებს სწავლობენ მატერიალიზმის თვალსაზრისით, ამასთან იგნორირებას უკეთებ-

ბენ მათ შემოქმედს. მას, ვინც ტილოს ათვალეერებს, არ სურს მისი ავტორის ნახვა, ნაწარმოების შემსწავლელი თავს არიდებს მის შემქმნელზე ფიქრს. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უპირისპირდება მატერიალისტური მსოფლმხედველობის არასრულყოფილებასა და არასრულფასოვნებას, ისლამური მსოფლმხედველობის არეალი და ბრწყინვალეობა.

უფრო მეტიც, ისლამის თვალსაზრისით, ერთადერთი სრულყოფილი და ჭეშმარიტი არსება ყოვლისშემძლე ალლაჰია. ალლაჰის გარდა ყველა სხვა ქმნილება თავისი არსებობით მის წინაშე ვალშია. აქედან გამომდინარეობს, რომ “ადამიანი” ასევე არ არის სრულყოფილი, არამედ შეზღუდული არსებაა.

ფილოსოფიური სკოლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია იპოვო ჭეშმარიტება რელიგიის მხარდაჭერის გარეშე, აყენებენ ადამიანს ყველაფრის სათავეში და აღიქვამენ მას როგორც აბსოლუტურ რეალობას, ხოლო სხვა ქმნილებები მიჯაჭვულია და ემსახურებიან მას. ეგოისტი ფარაონი, რომელსაც სჯეროდა, რომ მთელი სამყარო მის გარშემო ტრიალებდა და ამპარტავანი ნემრუდი ნათელი მაგალითია იმ უბედურებისა, რომელიც წმინდა ყურანის შემდეგ აიათებში არის ნახსენები: **“ნუთუ არ გინახავთ ის, ვინც თავის ღმერთად აირჩია მინიერი სურვილი?...”** (სურა “ალ-ჯასია”, 23).

ისინი, ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნაკლოვანებების დაფარვით, როგორიცაა შეცდო-

მები, სისუსტე, დავინყება, ხელმოკლეობა, საჭიროებები და მღელვარება, მიისწრაფვიან ხალხს დაავინყონ, რომ ისინი “გამჩენის მსახურები” არიან. ეს ფილოსოფოსები, რომლებიც ცდილობენ შემთხვევითობამდე დაიყვანონ ყველა ყოველგვარი სარჩო, რომელიც ალლაჰმა გარდმოუვლინა კაცობრიობას, ცდილობენ დახურონ ყოვლისშემძლე ალლაჰისადმი მადლიერებისა და მასზე ფიქრის კარი. ეს ყველაფერი, როგორც მოგეხსენებათ, არის ყველა ადამიანის აშკარა მტრის - ეშმაკის მთავარი მიზანი.

პოზიტივიზმის ფილოსოფიამ, რომელიც არის საფუძველი რელიგიის მოწინააღმდეგე ყველა იდეისა, გაუშვა თავისი ყლორტები ცხოვრების ყველა სფეროში. მაგალითისთვის, კომუნიზმმა გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხოლო ფროიდიზმმა გავლენა მოახდინა სექსუალურ ურთიერთობებზე, რამაც წარმოშვა ისლამის საწინააღმდეგო განსხვავებული შეხედულებები. ყველა მათგანი ეყრდნობა პოზიტივიზმს, რომელიც უარყოფილია ჭეშმარიტების მიღწევაში მისი არასრულყოფილების გამო.



ყურანის ტერმინოლოგია: „ამელ“

ამელ / العمل ლექსიკური მნიშვნელობით ნიშნავს „შრომას, ძალისხმევას, მოქმედებას“, ტერმინოლოგიურად კი განმარტებულია, როგორც „გამიზნულად შესრულებული საქმე“. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ადამიანის მიერ შესრულებულ ქმედებებს „ამელ“-ი შეიძლება ეწოდოს, რადგანაც ცუდი ან კარგი, გამიზნულად შესრულებული ქმედებები, მხოლოდ ადამიანის მიერ შეიძლება იყოს შესრულებული.

ყურანი რწმენასთან ერთად ქმედებების ამსახველ სიტყვას „ამელ“-ს იყენებს და ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რწმენა, რომელსაც ადამიანი ბედნიერებისა და წარმატებისკენ მიჰყავს დამოკიდებულია ქმედებებზე.

თითქმის ყველაფერი, რაც ადამიანს შეიძლება შეემთხვეს მისი ქმედების ნაყოფია. ყურანში გამახვილებულია ყურადღება ადამიანის ქმედებებზე, რომლებიც საბაბია ყველა იმ პრობლემისა, რაც შეიძლება ხელოვნურად შეიქმნას დედამიწაზე.

გამოიკვეთა უკეთურება ხმელეთზე და ზღვაში იმის გამო, რაც მოიხვეჭეს ადამიანთა ხელებმა, რათა აწიოს მათ ნაწილი იმისა, რაც ჩაიდინეს, ეგებების უკუმოიქცნენ! (სურა რუმი, აიათი 41)

ქმედებებით განისაზღვრება ადამიანთა რაობა და თითოეული ადამიანი ალლაჰის წინაშეც საკუთარი ქმედებების შესაბამისად იქნება ამაღლებული.

და ყველასთვისაა ხარისხები, რაც უკეთებიათ, და ღმერთი შენი როდია

უგულისყურო იმისადმი, რასაც აკეთებენ. (სურა რუმი, აიათი 132)

ალლაჰი, მისი წყალობისგან გამომდინარე სიკეთეს უფრო მეტად დააჯილდოვებს ვიდრე იმსახურებს, ხოლო აკრძალული ქმედებების შესაბამისად მხოლოდ იმდენად შეიძლება დასაჯოს რასაც იმსახურებს.

ყურანში შემდეგნაირად არის ნაბრძანები:

ის, ვინც წარსდგება კეთილი საქმეებით, მიიღებს უკეთესს, ხოლო რომელნიც წარსდგებიან ავი საქმეებით, მიიღებენ თავიანთი საქმეების საფასურს! (სურა ყასას, აიათი 84)

ვერც თქვენი სიმდიდრე და ვერც თქვენი შვილები ვერ დაგაახლოვებენ ჩვენთან, მხოლოდ ვინც ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. სწორედ მათთვისაა საზღაური ორმაგი, რასაც აკეთებდნენ. და ეგენი იქნებიან სამოთხეში უსაფრთხოდ! (სურა სეზე, აიათი 37)

ვინც ჰქმნა სიავე, მხოლოდ მიეგება მსგავსი მისი. ხოლო ვინც ჰქმნა სიკეთე, მამაკაცმა თუ დედაკაცმა და იგი მორწმუნეა, სწორედ ისინი შევლენ სამოთხეში, სადაც უთვალავ სარჩოს მიიღებენ. (სურა მუმინი, აიათი 40)

ყოველი ქმედება, რომელიც შემოქმედის ნების სანინააღმდეგოდაა შესრულებული არ გამოიღებს სასიკეთო შედეგს.

ალუთქვა ალლაჰმა თვალთმაქც კაცებს და თვალთმაქც ქალებს და ურწმუნოებს ჯოჯოხეთის ცეცხლი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან. იგი ეყოფათ მათ. და ალლაჰმა დაწყევლა ეგენი, და მათთვისაა გამზადებული მუდმივი სასჯელი! (სურა, თევზე, აიათი 68)

მსგავსად იმათისა, რომელნიც თქვენ უნინ იყვნენ. ისინი ძალითაც გჯობდნენ თქვენ და სიმდიდრითაც და იყვნენ შვილმრავალნიც. ამრიგად, ისინი დატკბნენ თავიანთი წილით. მაშ, თქვენც დატკბით თქვენი წილით, როგორც დატკბნენ თქვენი წინამორბედნი. აი, ეგენი, რომელთა საქმენიც ფუჭია ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. და სწორედ, წაგებული არიან ეგენი! (სურა თევზე, აიათი 69)

„ამელ“-ში იგულისხმება ქმედებები, რომლებსაც ადამიანები სიბნელიდან სინათლეში გამოჰყავს და არის მიზეზი ბედნიერების, კმაყოფილების და შემოქმედის მიმართ მაღლიერებისა.

ყურანში გამახვილებულია ყურადღება ქმედებებს შორის დროზე და მიგვითითებს, რომ როცა დავასრულებთ ერთ საქმეს უმაღვე გადავიდეთ მეორე საქმეზე, რომ არ მოვდუნდეთ და უსაქმურობა არ გახდეს საბაბი ჩვენი უკეთურობისა.

და როცა მოიცლი, წამოდექი და იშრომე. (სურა 94 ინშირაჰი, აიათი 7)



„ამელ“-ში არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური აქტივობა, არამედ სულიერი და ინტელექტუალური აქტივობაც. ძვირფასმა მოციქულმა აზროვნება, ღვთისმსახურებისა და თაყვანისცემის ერთ-ერთ საუკეთესო გზად გვიჩვენა.

შეუძლებელია ფიზიკური ქმედება „ამელ“, იყოს აზროვნებისგან დამოუკიდებლად შესრულებული, აქედან გამომდინარე აზროვნების გარეშე შესრულებული ყველა ქმედება უსარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს.

ყურანში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, რწმენასთან ერთად მოხსენიებულია „სალიჰ ამელ“. ამ ორი ტერმინის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოსახვა ყურანის საერთო აზრს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რწმენა კეთილი ქმედებების გარეშე, ხოლო კეთილი ქმედებები რწმენის გარეშე არ მოგვიტანს სიკეთეს არც ამქვეყნად და არც საიქიოში.

„სალიჰ“ ტერმინი მომდინარეობს „სულჰ“ ისგან, რაც ბოროტების, სიძულვილის, ჩხუბისა და არეულობის საწინააღმდეგოს ნიშნავს. ყურანში გამახვილებულია ყურადღება იმ ადამიანების მდგომარეობაზე, რომლებიც არ ასრულებენ კეთილ საქმეს.

ნუთუ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ჩვენ დავადგენთ დედამიწაზე არეულობის მთესავთა დარად?! ნუთუ დავადგენთ ღვთისმომშიშთ ურწმუნოების დარად? (სურა სადი, აიათი 28)

ყურანის მიხედვით, უსაზღვრო ბედნიერებასა და იმქვეყნიურ უსასრულო ნეტარებას მხოლოდ მართალთა შორის მყოფნი ეზიარებიან. მართალთა შორის ყოფნა კი დამოკიდე-

ბულია „სალიჰ ამელ“-ზე ანუ კეთილ ქმედებებზე.

უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, და რომელნიც იყვნენ იუდეველნი, ქრისტიანნი და საბიელნი, და ვინც ირწმუნეს ალლაჰი და დღე უკანასკნელი და ჰქმნეს სიკეთე, იმათი საზღაური თავიანთ უფალთანაა, მათ არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ. (სურა ბაყარა, აიათი 62)

ხოლო იმათ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ღმერთი მათი შეიყვანს თავისივე წყალობაში. სწორედ ეს არის აშკარა ნეტარება. (სურა ჯასიე, აიათი 30)

ამქვეყნიური და საიქიო ხსნა დამოკიდებულია სამ პირობაზე. ალლაჰის ერთობასა და საიქიოს არსებობის რწმენაზე, ამათთან ერთად „სალიჰ ამელ“-ზე კეთილი საქმეების შესრულებაზე.

ყურანი გვახსენებს შემდგომს:

უთხარი: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. მე ზემთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“ (სურა ქეჰვი, აიათი 110)

უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ისინი არიან გაჩენილთა შორის ყველაზე საუკეთესონი! (სურა ბეიინე, აიათი 7)

ალლაჰმა შეგვაძლებინოს მართალთა შორის ყოფნა. ამინ!

ყურბნის-მსხვერპლშენიერვის

ღვთისმსახურების ქრონოლოგია



ზურაბ მიქელაძე

მსხვერპლშენიერვის ისტორია იწყება, ადამის ორი ვაჟის ცნობილი მსხვერპლშენიერვით, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული. მსხვერპლშენიერვა არის ღვთისმსახურება, რომელიც ალლაჰმა სავალდებულო გახადა მორწმუნეთათვის. შესაბამისად, მსხვერპლშენიერვის ღვთისმსახურება ხდებოდა ყველა ღვთაებრივ რელიგიაში. ყურანში ნახსენებია, რომ ადამის ორმა ვაჟმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შესწირა მსხვერპლი ალლაჰს. რაც შემდეგნაირადაა მოხსენებული ყურანში (5/27-31).

1 და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა. ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებულ იქმნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან, და თქვა მან: „მე მოგკლავ შენ უსათუოდ!“ უპასუხა: „ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.“

2 ვფიცავ, თუ შენ მოსაკლავად აღმართავ ხელს ჩემზე, მე არ აღვმართავ ხელს შენს მოსაკლავად. უეჭველად, მე მეშინია ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთის.

3 ნამდვილად მსურს, რომ შენ აიღო ჩემი ცოდვა და ცოდვა შენიც, რათა იქმნა ცეცხლის ბინადართა შორის“. და: „ასეთია საზღაური უსამართლონისა“.

4 ხოლო ვნებამ უბიძგა მას ძმის მოკვლისკენ, მოკლა ის და აღმოჩნდა ნაგებულთა რიგებში.

5 შემდეგ წარუგზავნა ალლაჰმა ყორანი, რომელიც მიწას თხრიდა, რათა ეჩვენებინა მისთვის, როგორ დაემარხა ძმის ცხედარი. თქვა: „ვამ ჩემს თავს! ისიც არ შემიძლია ამ ყორნის მსგავსი ვიყო და დაემარხო ჩემი ძმის ცხედარი.“ და იქმნა იგი მონანიეთაგანი.

მსხვერპლშენიერვა - ყურბანი ისლამამდე პერიოდშიც რომ არსებობდა ამას სურა ჰაჯის 34-ე აიათითაც დასტურდება:

ყოველი თემისთვის ჩვენ დავადგინეთ მსხვერპლშენიერვის ადგილი, რათა მათ ახსენონ ალლაჰის სახელი საქონელზე, რომელიც მან უბოძა. თქვენი ღვთაება ერთადერთი ღმერთია! მაშ, იყავით მისი მორჩილნი! შენ კი ახარე მორჩილთა!...

აღნიშნულ ღვთისმსახურებას აგრეთვე საფუძვლად უდევს ცნობილი ამბავი იბრაჰიმისა, რომელსაც ალლაჰმა აღუსრულა ნატვრა და ვაჟიშვილი უწყალობა. თუმცა წინ იყო გამოცდა, რომლის თანახმადაც წმ. იბრაჰიმს ნახული სიზმრის საფუძველზე ვაჟიშვილი მსხვერპლად უნდა შეენირა. იბრაჰიმმა ვაჟიშვილის მსხვერპლად შენირვა მტკიცედ გადაწყვიტა, მაგრამ ყოვლისშემძლე ალლაჰმა არ დაუშვა ეს და დიდი მსხვერპლი გაუგზავნა აბრაამს, მან შესწირა იგი შვილის ნაცვლად. ეს ისტორია ყურანში სურა საფფათში (102-109) შემდეგნაირადაა გადმოცემული.

1- როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენტაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“

2. როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს,

3. მაშინ ვუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ!

4. „უთუოდ, ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში“. უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ კეთილის მქმნელთ!

5. უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა!

6. და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესანიერი.

7. და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში.

8. სალამი იყოს იბრაჰიმსა ზედა!

ყურანის ღვთისმსახურება მუსა შუამავლის დროსაც რომ ხორციელდებოდა ამას სურა ბაყარას (2/67-71) შემდეგი აიათები გადმოგვცემს, რაც იმის დასტურია, რომ ყურბანი-მსხვერპლშენირვა მარტო ისლამში არსებული ღვთისმსახურება არ არის.

1. როცა მუსამ უთხრა თავის ხალხს: უეჭველად, ალლაჰმა გიბრძანათ თქვენ ძროხა (ფური) დაკლათ (შესწიროთ), მათ



უპასუხეს: განა მახსრად გვიგდებ? მაშინ თქვა (მუსამ): დამიფაროს ალლაჰმა, თუ ვიყო უფიცთაგანი!

2. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, რომ აგვიხსნას როგორია ის. მუსამ მიუგო: უეჭველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: „ის ძროხაა, არც ბებრეკი და არც უშობელა, ამათ შორის საშუალო. გააკეთეთ ის, რაც გებრძანათ!“

3. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, აგვიხსნას რა ფერისაა ის. მუსამ მიუგო: უეჭველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: „იგია ძროხა ყვითელი, ხასხასა ფერის, თვალს უხარებს მნახველთ.“

4. უთხრეს: შესთხოვე ჩვენთვის შენს ღმერთს, რომ აგვიღწეროს როგორია ის. დიახაც, რომ ჩვენთვის ის ძროხა მგვანია სხვა დანარჩენის, და თუ ალლაჰი ინებებს, უეჭველად, ჩვენ ვეზიარებით ჭეშმარიტებას.

5. თქვა მუსამ: უეჭველად, იგი (ალლაჰი) ბრძანებს: ის არის ძროხა უდეღაუდგმელი, არც მინას ხნავს და არც ნათესსა რწყავს, უვნებლად შენახული, ზედ ერთი ნიშანიც კი არ აქვს. უთხრეს: ახლა კი მოხვედი სიმართლთურთ (ნამდვილად აღგვიწერე). შემდეგ დაკლეს იგი, თუმცაღა ამის გაკეთება არ სურდათ.

სიტყვა „ყურბანი“ დაახლოებას ნიშნავს. მისი, როგორც რელიგიური ტერმინის, მნიშვნელობა ასეთია: ღვთისმსახურების მიზნით ფიზიკურად უნაკლო



ცხოველის, კონკრეტული პირობებისა და წესების დაცვით, ყურბან-ბაირამის დღეებში მსხვერპლად შეწირვა. ყურბნის შეწირვა ჰიჯრით მეორე წელს დადგინდა სავალდებულოდ, რაც ეყრდნობა ყურანსა და სუნნეთს.

ყურბანი, ადამიანის ალლაჰთან დაახლოებას უზრუნველყოფს. იმის გამო, რომ ყურბნის ღვთისმსახურება ქონებითა და სულით თავგანწირვის მნიშვნელობის მატარებელია, ალლაჰთან დამახლოებელი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ყურბანი ჩვენ გვახსენებს იმ დიდ ნდობას, მორჩილებასა და მსახურებას, რაც წმინდა იბრაჰიმსა და ისმაილს გააჩნდათ. ალლაჰი ადამიანებს აჩვენებს ყველაფერს, რაც ხელში აქვთ, მათ წესისამებრ გამოყენებასა და მონყალებად გაღებას ასწავლის. ყურბანი ადამიანს სიძუნწისა და ქონების სიყვარულისგან იხსნის. საზოგადოებაში ძმობის, ურთიერთდახმარების, განაწილებისა და ღარიბის გახარებას უწყობს ხელს. ადამიანებს სიყვარულითა და გულისხმიერებით აკავშირებს ერთმანეთთან. ალლაჰის ბოძებული სიკეთეების სარგებლობას უზრუნველყოფს. ის არის ინდივიდუალური და საზოგადო ღვთისმსახურებების აღსრულებით ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება და მასთან დაახლოება.

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმომშიშობა. ასე დაგიმორჩილათ

ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ, ახარე სიკეთისმქმნელთ!” (სურა ჰაჯი, აიათი 37)

ზემოთ მოყვანილი აიათი დასტურია იმისა, რომ ყურბნის შეწირვა ღვთისმსახურების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოვლინებაა. ამ მიზნით შეწირული საქონლის არც ხორცი და არც სისხლი, ბუნებრივია, დიად გამჩენთან არ მიაღწევს, თუმცა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ გამჩენთან მიაღწევს თითოეული პიროვნების გულწრფელობა და ღვთისმოსაობა, რომელიც უზენაეს ალლაჰზე მორჩილების ცხადი გამოვლინებაა.

ისლამის მოვლენამდე არაბებში, სხვადასხვა მიზნით, კერპების სახელზე მსხვერპლშეწირვა ტრადიციად იყო ქცეული. უმეცრების პერიოდის არაბები, გარკვეულ დროს, ქაბახასა და სხვა ადგილებში მყოფ კერპებთან, სულიერად უფრო დაახლოების გამოსახატად, დაკლული მსხვერპლის სისხლს კერპებს სცხებდნენ, ხორცს კი ჩარჭობილ ქვებს ჩამოაცვამდნენ, რათა ცხოველებს შეეჭამათ. მათი კიდევ ერთი ტრადიცია ის იყო, რომ ახლადგარდაცვალილის საფლავს მსხვერპლს სწირავდნენ, გარდაცვალებულს სულიერად დაეხმარებო. ისლამმა, ეს ადათნესები ალლაჰის ერთობის (თეჰჰიდი) საწინააღმდეგოდ ჩათვალა, ალლაჰის გარდა სხვა რამეზე მსხვერპლის შეწირვა სასტიკად აკრძალა და ამით სოციალური ქცევები და ქმედებები გაამდიდრა. ამგვარად, კერპების სახელზე პირუტყვის დაკვლა, ერთადერთ ალლაჰზე მოზიარის გაჩენას ნიშნავს. დაკლული საკლავის ხორცი ღეშად ითვლება და მისი მირთმევა აკრძალულია (*ყურბანი*, დ.ი.ა, 26, 436.)

მსხვერპლშეწირვას, როგორც ღვთისმსახურებრივი, ასევე საზოგადოებრივი ფუნქციაც გააჩნია. ალლაჰის სახელზე მსხვერპლშეწირვის, როგორც ღვთისმსახურების მიზანი, გაჭირვებულებზე ხორცის დარიგებაა. მსხვერპ-

ლმენირვის არსი იმაშია, რომ ალლაჰის კმაყოფილებასთან ერთად, გაჭირვებული ადამიანის ხორციით დაკმაყოფილების აუცილებლობაა მასში გამოხატული. ამგვარად მსხვერპლმენირვა, მუსლიმ საზოგადოებაში ძმობას, ურთიერთდახმარებასა და თანადგომას დაამკვიდრებს, საზოგადოებრივი ჰარმონიის განვითარებას ხელს შეუწყობს.

ისლამის მოვლინების შემდეგ, ყურბანის ღვთისმსახურება აუცილებელ პირობად დანესდა შეძლებულთათვის. ყურბანის შენირვა ნელინდში ერთხელ ზილჰიჯჯის მთვარის მე-10-11 და მე-12 დღეს სრულდება და ამ დღეებს ეწოდება ყურბან ბაირამი ანუ მსხვერპლმენირვის დღესასწაული, რაც ისლამში არსებული ორი დიდი დღესასწაულიდან ერთერთია. საშუალების მქონე მუსლიმმა, რომელიც სრულწლოვანი, გონიერი და თავისუფალია შესაბამისად, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მიზნით უნდა დაკლას ყურბანი. მატერიალურად შეჭირვებულ ოჯახებს დაეხმარება და შესაბამისად გამჩენ ალლაჰს უფრო დაუახლოვდება.

სურა ქევსერში უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს: - „ილოცე შენი ღმერთისთვის და მას დაუკალი შესანიერი!“

გამომდინარე ამ აიათიდან, საშუალების მქონე მორწმუნე მუსლიმი ქალბა-

ტონი თუ მამაკაცი ვალდებულია ყურბანი დაკლას.

ამასთან ერთად, შუამავალი გვასწავლის, რომ ყურბან-ბაირამის დღეებში ყველაზე საუკეთესო ღვთისმსახურება ყურბანის დაკვლაა. შუამავალი ბრძანებს, რომ ყურბანის დაკვლისთანავე ის, ღვთის წინაშე მიიღება და საყურბნე პირუტყვის თითოეული ნაწილი პიროვნების ნამოქმედართა წიგნში სიკეთის სახით ჩაინერება (თირმიზი, ედაჰი, 1.)

იბნი მაჯე, ედაჰი, 3). მუჰამმედ შუამავალმა (ს.ა.ვ) ბაირამის ლოცვამდე ასე მიმართა: „უეჭველად, დღეს უპირველესი ბაირამის ლოცვის შესრულებაა. შემდეგ სახლებში დაბრუნება და მსხვერპლის შენირვაა. მაშ, ვინც ასე მოიქცეს, უთუოდ ჩვენსგ ზას ადგას.“ (951 ბუხარი, იდეინი, 3.)

ბაირამის ლოცვის შესრულების შემდეგ, ყურბანის შესახებ მინბერიდან მიმართა: „ადამის მოდგმა, მსხვერპლმენირვის დღეს, მსხვერპლის შენირვაზე უკეთესს ვერაფერს იქმს, რომელიც ალლაჰის წინაშე სიკეთედ ჩაინერება. უეჭველად, იგი განკითხვის დღეს მაღლად მოეწვინება. რამეთუ, ვიდრე სისხლი მინაზე დაიღვრებოდეს, ალლაჰის წინაშე შესმენილ იქნება. ამიტომ მსხვერპლი მთელი გულითა და სულით შესწირეთ!“ (თ 1493 თირმიზი, ედაჰი, 1.)

